საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების და
დამატებების შეტანის შესახებ

განმარტებითი ბარათი

ა.ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა. კანონპროექტის მიღების მიზეზი

საქართველოს ორგანულ კანონში "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" განხორციელდა ცვლილებები, რომლებიც მოითხოვენ სათანადო ცვლილებებს სხვა კანონში, მათ შორის –საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში. კერძოდ; "სახალხო დამცველის შესახებ" მოქმედი კანონით სახალხო დამცველი მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ პარლამენტს წელიწადში ორჯერ წარუდგნეს საანგარიშო მოხსენებას. რამდენადაც კანონის ამ მოთხოვნის შესრულებამ მუდმივად გამოიწვია პრობლემები / საანგარიშო მოხსენების მომზადება ორჯერ თვით სახალხო დამცველს და მის მობილურ აპარატს ხანგრძლივი დროის განმავლობაში უწევს და ასევე მისი განხილვა საპარლამენტო კომიტეტებში და პარლამენტის სხდომაზე ორჯერ-ასევე იწვევს სირთულეებს/ ამის გამო წარმოდგენელი კანონპროექტით შემოთავაზებულია ზემოთხსენებული ცვლილება, რომლის მიხედვითაც სახალხო დამცველი საანგარიშო მოხსენებას პარლამენტს წარუდგენს წელიწადში ერთხელ კალენდარული წლის მარტში. ასევე პარლამენტის წევრთა რამოდენობის 150-მდე შემცირების შედეგად უნდა შესწორდეს ჩანაწერი იმის შესახებ, რომ პარლამენტის წევრთა ათ კაციან ჯგუფს აქვს უფლება დააყენოს სახალხო დამცველის კანდიდატურა.

ა.ბ. კანონპროექტის მიღების მიზანი
კანონპროექტის მიზანია ორგანულ კანონში "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" განხორციელებული ცვლილების შესაბამისად საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილება იმის შესახებ, რომ სახალხო დამცველის ანგარიში პარლამენტში განხილულ იქნას წელიწადში ერჯერ კალენდარული წლის მარტში. ასევე კანონში უნდა იქნას შეცვლილი ჩანაწერი, რომ სახალხო დამცველის კანდიდატურის წარმოდგენის უფლება აქვს პარლამენტის წევრთა ათკაციან ჯგუფს და პარლამენტის წევრთა რაოდენობის შესაბამისად უნდა დადგინდეს, რომ ასეთი უფლება ენიჭება პარლამენტის წევრთა შვიდკაციან ჯგუფს.

ა.გ. კანონპროექტის ძირითადი არსი

წარმოდგენილი კანონპროექტით სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენების წარდგენა და განხილვა წესდება წელიწადში ერთხელ /ნაცვლად არსებული წელიწადში ორჯერ განხილვისა/ და სახალხო დამცველის კანდიდატურის წარდგენის უფლება ენიჭება პარლამენტის წევრთა შვიდკაციან ჯგუფს.

ბ. კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა/ კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;
კანონპროექტის მიღება არ იწვევს ხარჯებს

ბ.ბ/ კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტში საშემოსავლო ნაწილის ზრდას

ბ.გ/ კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე
კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას

ბდ კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები იმ პირთათვის, ვისზედაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავება ღირებული თანამდებობის პირთა ფინანსურ ვალდებულებებთან

ბ.ვ/კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი /პრინციპი/;

კანონპროექტი არ ითვალისწინებს დადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ/ კანონპროექტის მიმართება საერთ შორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა/ კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტი შეესაბამება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.ბ/ კანოპნპოროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტის მიღება შეესაბამება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ/ კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა/ სახელმწიფო, არასახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანიზაცია, დაწესებულება, ექსპერტები. რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშაავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა

დ.ბ/კანონპროექტის შმუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების ან და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ/ასეთის არსებობის შემთხვევაში/
წერილობითი შეფასებები არ არსებობს.

დ.გ/ კანონპოექტის ავტორი
პარლამენტის წევრი ნაზი არონია

დ.დ/ კანონპროექტის ინიციატორი
პარლამენტის წევრი ნაზი არონია